

შპს „შვიდი“

2020 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: I GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	976275	2174242	2184048	
სავაჭრო მოთხოვნები	3938807	4380154	3304191	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	113980	292617	260787	
მარაგები	5258692	4143432	3146173	3.1
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	5258692	4143432	3146173	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	262042	106346	43712	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თევზჭერის მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	11044	13673	13590	
ძირითადი საშუალებები	1951889	1908171	1892299	3.2
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები		178303	162722	
სულ აქტივები	12512729	13196938	11007522	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	2179			
სავაჭრო ვალდებულებები	3854228	4249905	3255619	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	15411	11047		3.3
საგადასახადო ვალდებულებები	108483	225204	112844	3.4
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	432249	122802		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	4689887	3154830	2929748	3.5
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1885493	1523993	1492737	3.5
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები		78000	134632	
სულ ვალდებულებები	10987930	9365781	7925580	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	500000	500000	500000	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1040132	2916732	2226857	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ მშობელი საწარმოს მფლობელების საკუთარი კაპიტალი	1540132	3416732	2726857	
არამაკონტროლებელი წილი	-15333	414425	355085	
სულ საკუთარი კაპიტალი	1524799	3831157	3081942	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	12512729	13196938	11007522	
მოკლევადიანი აქტივები, სულ:	10549796	11096791	8938911	
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	9102437	7841788	6432843	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.11.2021 წ.

დირექტორი  მალხაზ ტვილიძანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.


კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	19962805	20761970	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	19956268	20683497	
- მომსახურების გაწევიდან	6537	78473	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-15810576	-16249523	3.6
საერთო მოგება	4152229	4512447	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-3465393	-1840239	3.7
ცვეთა და ამორტიზაცია	-145626	-110466	3.7
საპროცენტო შემოსავალი	2543	19013	
საპროცენტო ხარჯი	-393008	-316990	
იჯარის ხარჯი	-138195	-155604	3.7
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-536927	-566013	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-4676606	-2970299	
საოპერაციო მოგება	-524377	1542148	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება	-127		
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების	-127		
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-1506508	-359532	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	81549	55337	3.8
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-1949463	1237953	
მოგების გადასახადის ხარჯი	-52941	-66622	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-2002404	1171331	3.9
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	-1872755	993105	
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	-129649	178226	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რევერსი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-2002404	1171331	3.9
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	-1872755	993105	
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	-129649	178226	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3831157	3081942	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-300000	-405939	3.9
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-3954	-16177	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1524799	3831157	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.11.2021 წ.

დირექტორი



მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "შვიდი" (კონსოლიდირებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-960394	740879
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-122564	-127633
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-127696	-620031
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-1210654	-6785
სავალუტო კურსის ეფექტი	12687	-3021
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2174242	2184048
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	976275	2174242

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.11.2021 წ.

დირექტორი  მალხაზ ტყვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი“ (შემდგომში – *კომპანია* ან *ჯგუფი*) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 1998 წლის 27 მაისს საბურთალოს რაიონის სასამართლოს N 5ა/4-1688 დადგენილებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 211371638, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ. N 12.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები:

მალხაზ ტვილდიანი - 20%; სერგო ჩხაიძე - 5%; ნინო ორჯონიკიძე - 25%; ირაკლი ვაჩნაძე - 25%; ირაკლი მასხუღია - 25%.

კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი საწარმო - შპს „შვიდი ვაინ“ (ს/კ 405130889), რომლის კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 85%-ს. დარჩენილი 15% ეკუთვნის ფიზიკურ პირს - მიხეილ მესხს.

ჯგუფში შემავალი ორივე კომპანია (სათავო და შვილობილი) დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.3. კომპანიის დირექტორია მალხაზ ტვილდიანი.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინგრედიენტების იმპორტი და რეალიზაცია. შვილობილი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ყურძნისა და ღვინის დასამუშავებელი მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

მეკავშირე საწარმოები ჯგუფს არ ჰყავს.

1.5. 2020 წლის მდგომარეობით, ჯგუფში დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა შეადგენდა 45 კაცს. თანამშრომელთა ნაწილი მუშაობს ორივე კომპანიაში.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან „ესტონური მოდელის“ შესაბამისად, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

ჯგუფის მარაგები 2020 წლის ბოლოს შედგებოდა:

შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი საქონელი (დამხმარე მასალები და ინვენტარი კვების მრეწველობისათვის) – 3 020 950 ლარი;

სარეკლამო მასალები და ნიმუშები - 4 806 ლარი;

საწვავ-საცხები მასალები - 1 956 ლარი.

სულ - 5 258 692 ლარი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოფასება არ მომხდარა, რადგან ჯგუფი მიიჩნევს, რომ მისი ყველა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა 2020 წლის ბოლოს ლიკვიდურია (რეალიზებადია) თვითღირებულებაზე არანაკლებ ფასად.

3.2. ძირითადი საშუალებები:

ჯგუფის საადრიცხო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

2020 წელს შეძენილ იქნა 215 110 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებების ისტორიული (თავდაპირველი) ღირებულება შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 2 786 664 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 2 607 197 ლარი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 834 775 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 699 026 ლარი.

სულ 2020 წლის განმავლობაში დარიცხულმა ძირითადი საშუალებების ცვეთამ შეადგინა 142 997 ლარი.

3.3. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

2020 წლის ბოლოს, ჯგუფის ვალდებულება დაქირავებულ თანამშრომელთა წინაშე შეადგენდა 2020 წლის ბოლოს, კომპანიის ვალდებულება დასაქმებულ თანამშრომელთა წინაშე შეადგენდა 15 411 ლარს, რომლიდანაც მთლიანად შედგებოდა მათი სავალდებულო საპენსიო შენატანების გადახდის ვალდებულებისაგან საპენსიო სააგენტოში.

3.4. საგადასახადო ვალდებულებები:

31.12.2020 წ. მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა მიმდინარე საგადასახადო დავალიანება 108 483 ლარი, რომელიც გადასახადების სახეობების მიხედვით შედგებოდა შემდეგი თანხებისაგან:

საბაჟო (იმპორტის) დღგ - 40 298 ლარი;

მოგების გადასახადი - 72 126 ლარი;

საშემოსავლო გადასახადი - 306 889 ლარი;

დღგ-ის აქტივი - -24 123 ლარი;

ქონების გადასახადი - -304 ლარი;

ჯამური ზედმეტობა გადასახადების ერთიან ბარათზე - -286 403 ლარი.

3.5. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები:

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები როგორც 31.12.2020 წ., ასევე 31.12.2019 წ. მდგომარეობით, მთლიანად შედგებოდა „თიბისი ბანკიდან“ აღებული სესხებისაგან. სესხების ნაწილი აღებულია ევროში, ხოლო ნაწილი - აშშ დოლარში. 2020 წლის ბოლოს, „თიბისი ბანკის“ წინაშე არსებული სასესხო დავალიანება სულ შეადგენდა 1 339 587.58 ევროს და 361 904.83 აშშ დოლარს.

3.6. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2020 წელს, ჯგუფის ნეტო-ამონაგები იყო 19 962 805 ლარი, რომელიც შედგებოდა:

კვების მრეწველობისათვის და მეღვინეობა-მევენახეობისათვის განკუთვნილი საქონლის (მასალებისა და ინვენტარის) გაყიდვიდან მიღებული:

ექსპორტი - 824 986 ლარი;

საქართველოში - 19 131 282 ლარი;

იჯარის მომსახურებიდან მიღებული - 6 537 ლარი.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.7. საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო ხარჯები:

2020 წელს მიწოდების, საერთო-ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგებოდა:

ხელფასი - 3 442 171 ლარი;
სავალდებულო საპენსიო შესატანი (2%) – 23 222 ლარი;
ძირითადი საშუალებების ცვეთა - 142 996 ლარი;
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია - 2 630 ლარი;
ფართის იჯარა - 138 195 ლარი;
ა/მ იჯარა - 14 400 ლარი;
რეკლამის ხარჯები - 13 418 ლარი;
საკანცელარიო ხარჯები - 6 891 ლარი;
ელექტროენერგია, გაზი, წყალი, დასუფთავება - 17 459 ლარი;
საკომუნიკაციო და საფოსტო ხარჯები - 6 113 ლარი;
დაზღვევა - 23 279 ლარი;
საკონსულტაციო ხარჯები - 25 218 ლარი;
საგადასახადო ხარჯები - 17 481 ლარი;
საბანკო ხარჯები - 84 005 ლარი;
სხვა საერთო-ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები - 328 663 ლარი.
სულ - 4 286 141 ლარი.

3.8. საანგარიშგებო პერიოდის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები:

2020 წელს ჯგუფის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები შედგება:

შელავთი საშემოსავლო გადასახადში პანდემიის გამო - 26 553 ლარი;
კრედიტორული დავალიანების კორექტირება - 84 604 ლარი;
სადაზღვევო კომპენსაცია - 1 950 ლარი;
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი - 29 ლარი;
საურავები - -15 684 ლარი;
ზარალი ძს რეალიზაციიდან - -13 745 ლარი;
სხვა არასაოპერაციო ხარჯები - -2 158 ლარი.
სულ - 81 549 ლარი.

3.9. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2020 წლის შედეგების მიხედვით, ჯგუფმა მიიღო ზარალი 2 002 404 ლარი. ჯგუფის სათავო კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება გასული წლების მოგების განაწილების შესახებ. შვილობილ კომპანიაში შპს „შვიდი ვაინში“ კი 2020 წლის განმავლობაში განაწილებული იქნა მოგება (გამოცხადებულია დივიდენდები) 2 000 000 ლარის ოდენობით. ამ თანხიდან ფაქტობრივად გაცემულია 500 000 ლარი, მათ შორის, 200 000 ლარი - სათავო კომპანიაზე, ხოლო 300 000 ლარი - შვილობილი საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე. შედეგად, 2020 წელს ჯგუფს (შვილობილ კომპანიას) წარმოეშვა მოგების გადასახადის ხარჯი 52 941 ლარის ოდენობით.

გასული წლების შეცდომების გასწორებით გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით, 2020 წლის დეკემბრის ბოლოს მდგომარეობით ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 1 040 132 ლარს, ხოლო სულ საკუთარი კაპიტალი (არამაკონტროლებელი წილის ჩათვლით) - 1 524 799 ლარს.

3.10. სასამართლო დავები:

ჯგუფს 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გავრცელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ჯგუფს მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები არ შექმნია (მოხდა შემოსავლების მცირე შემცირება) და ჯგუფი უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2021 წლის 1 იანვრიდან 29 ნოემბრამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 29 ნოემბერს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.